მე-5 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული დავალება 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან ფინალურ ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია რიცხვთა თანრიგების, სივრცული და ბრტყელი ფიგურების, არითმეტიკისა და მისი საშუალებით ამოცანების ამოხსნის თემატიკებზე, ასევე ლოგიკურ მსჯელობაზე.

● რიცხვთა თანრიგები

მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვთა თანრიგების ამოცნობა.

მაგალითი: რომელი ციფრია ასეულების თანრიგში რიცხვ 968-ში?

A) 9 B) 6 C) 8

● რიცხვების შეკრება, გამოკლება და შედარება

მოსწავლემ უნდა შეძლოს ნატურალურ რიცხვების პატარა რიცხვებზე (ერთნიშნა) გამრავლება ან გაყოფა და რიგ შემთხვევაში მათი შედარება.

მაგალითი: ჩამოთვლილთაგან, რომელია 6·9-ზე მეტი და 6·10-ზე ნაკლები?

A) 55 B) 61 C) 53

● სივრცული და ბრტყელი ფიგურები



მოსწავლემ უნდა იცოდეს საკლასო დონის შესაბამისი სივრცული და ბრტყელი ფიგურების ამოცნობა.

მაგალითი:

რამდენი სივრცული ფიგურაა მოცემულ სურათზე?

A) 0 B) 1 C) 2

● **ამოცანების ამოხსნა რიცხვთა მოქმედებებით**

მოსწავლემ უნდა შეძლოს ამოცანების ამოხსნა რიცხვებზე სწორი მოქმედებების (მიმატება, გამოკლება, მარტივი გამრავლება და გაყოფა) შერჩევითა და გამოყენებით.

მაგალითი: თუ იაგო არის 7 წლით უფროსი ბეჟანზე, რამდენი წლით უფროსი იქნება იაგო ბეჟანიზე 9 წლის შემდეგ?

A) 7 B) 16 C) ამის დადგენა შეუძლებელია

● **ლოგიკური მსჯელობა**

მოსწავლეს უნდა შეეძლოს ელემენტარული ლოგიკური ამოცანების ამოხსნა, რომლებიც ეფუძნება კარგად ნაცნობ ყოველდღიურ სიტუაციებსა და ტერმინებს.

მაგალითი: თუ რომელიღაცა წლის 7 დეკემბერი იყო სამშაბათი, რა დღე იყო იმავე წლის 30 ნოემბერი?

A) სამშაბათი B) ორშაბათი C) ამის გაგება შეუძლებელია

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია,** რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 3 ქულიანს. ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანალიზაროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ტესტები: https://kings.ge/student/login

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგავსი სტრუქტურა აქვს. I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.